NCDC 8 23 00000001 16/08/2023

ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით) - გოდერძის უღელტეხილისა და შქერნალის განვითარების გენერალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშისა და არატექნიკური რეზუმეს განხილვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

"გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბრის N 420 დადაგენილების მე - 6 მუხლის და „სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის "გ" და „ს" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ.ლ-საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულულ ცენტრში (შემდგომში-ცენტრი), ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით) - გოდერძის უღელტეხილისა და შქერნალის განვითარების გენერალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშისა და არატექნიკური რეზუმეს განხილვის და საბოლოო დასკვნის მომზადების მიზნით შეიქმნას საექსპერტო კომისია (შემდგომში -კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნანა გაბრიაძე - გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) დალი კეკელიძე - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კომისიის მდივანი);

გ) რობიზონ წიკლაური - გარემოს რისკ-ფაქტორების შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი (კომისიის წევრი);

დ) ქეთევან ზარიძე - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კომისიის წევრი);

ე) ელენე ჩიჩუა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კომისიის წევრი);

ვ) ხათუნა ფირანიშვილი - იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (კომისიის წევრი);

ზ) ქეთევან ღამბაშიძე - მონაცემთა ანალიზის და წარდგენის სამმართველოს უფროსი (კომისიის წევრი).

2. დაევალოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილ კომისიას 2023 წლის 9 ოქტომბრამდე გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს წარუდგინოს ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით) - გოდერძის უღელტეხილისა და შქერნალის განვითარების გენერალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშისა და არატექნიკური რეზუმეს განხილვის საფუძველზე მომზადებული საექსპერტო დასკვნა შემდგომში კანონმდებლობით დადგენილი წესით რეკომენდაციების მომზადების მიზნით.

3. საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად კომისია შეიკრიბება საჭიროებისამებრ (შესაძლებელია ონლაინ სხდომების გამართვა).

4. კომისიის მდივნად განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი დალი კეკელიძე.

5. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელოწერისთანავე.

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
თამარ გაბუნია

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად